ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 10 ნოემბერი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 41 (252). ფასი 30 კაპ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების 25 წლისთავს. 25 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა წყობილება დამყარდა. ჩვენ საბჭოთა წყობილების არსებობის შემდეგი, 26-ე წლის მიჯნაზე ვდგევართ.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ოქტომბრის საბჭოთა რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ვაჯამებთ ხოლმე სახელმწიფო და პარტიული ორგანოების განვლილი წლის მუშაობის შედეგებს. მე დავალებული მაქვს წარმოგიდგინოთ საანგარიშო მოხსენება სწორედ ამ განვლილი წლის—შარშანდელი წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის ნოემბრამდე განვლილი წლის შედეგების შესახებ.

ჩვენი სახელმწიფო და პარტიული ორგანოების საქმიანობა განვლილ პერიოდში ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: მშვიდობიანი აღმშენებლობისა და ჩვენი ფრონტისათვის მტკიცე ზურგის მოწყობის მიმართულებით,—ერთი მხრივ, და წითელი არმიის თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების ჩატარების მიმართულებით,—მეორე მხრივ.

1. ორგანიზატორული მუშაობა ზურგში

ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა ამ პერიოდში გამოიხატა ჩვენი მრეწველობის, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მრეწველობის ბაზების ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში გადატანით, მუშებისა და საწარმოთა მოწყობილობის ახალ ადგილებში ევაკუაციითა და მოწყობით, აღმოსავლეთში ნათესი ფართობის გადიდებითა და შემოდგომის ნათესის გაფართოებით, დასასრულ, ფრონტისათვის მომუშავე ჩვენი საწარმოების მუშაობის ძირიან-ფესვიანად გაუმჯობესებით და ზურგში, როგორც ქარხნებში, ისე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შრომის დისციპლინის განმტკიცებით. უნდა ითქვას, რომ ეს იყო ყველა ჩვენი სამეურნეო და ადმინისტრატიული სახალხო კომისარიატების, მათ შორის ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის დიდი მასშტაბის უძნელესი და ურთულესი ორგანიზატორული მუშაობა. მაგრამ სიძნელეთა დაძლევა მოხერხდა. და ახლა ჩვენი ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ომიანობის დროის ყველა სიძნელის მიუხედავად, უდავოდ დამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ჩვენი სამხედრო ქარხნები და მათი მომიჯნავე საწარმოები პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ წითელ არმიას ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით, თვითმფრინავებით, ტანკებით, ტყვიამფრქვევებით, შაშხანებით, საომარი მასალებით. ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგრეთვე პატიოსნად და წესიერად ამარაგებენ მოსახლეობასა და წითელ არმიას სურსათით, ხოლო ჩვენს მრეწველობას — ნედლეულით. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არა ჰქონია.

მთელი ამ რთული ორგანიზატორული და აღმშენებლობითი მუშაობის შედეგად გარდაიქმნა არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ გარდაიქმნენ თვით ზურგში მომუშავე ადამიანებიც. ადამიანები უფრო მუყაითნი, ნაკლებ მოშვებულნი, უფრო დისციპლინიანნი გახდნენ, ისწავლეს ომიანობის შესაფერისად მუშაობა, იწყეს შეგნება თავიანთი მოვალეობისა სამშობლოს წინაშე და ფრონტზე მის დამცველთა წინაშე—წითელი არმიის წინაშე. დოყლაპიებისა და დაუდევრების რაოდენობა, რომლებიც მოკლებულნი არიან სამოქალაქო მოვალეობის გრძნობას, ზურგში სულ უფრო და უფრო ნაკლები ხდება. ორგანიზებული და დისციპლინიანი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სამოქალაქო მოვალეობის გრძნობით არიან გამსჭვალულნი, სულ უფრო და უფრო მეტი ხდება.

მაგრამ განვლილი წელი, როგორც უკვე ვთქვი, მარტო მშვიდობიანი აღმშენებლობის წელი როდია. იგი ამასთან ერთად არის წელი სამამულო ომისა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც უნამუსოდ და ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას.

2. საომარი მოქმედება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე

რაც შეეხება ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების საომარ მოქმედებას გასული წლის განმავლობაში, იგი გამოიხატა გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ წითელი არმიის შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციების უზრუნველყოფით. საომარი მოქმედება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გასული წლის განმავლობაში შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად: პირველი პერიოდი—ეს უპირატესად ზამთრის პერიოდია, როცა წითელმა არმიამ, მოიგერია რა გერმანელების იერიში მოსკოვზე, ინიციატივა აიღო თავის ხელში, შეტევაზე გადავიდა, გარეკა გერმანელთა ჯარები და 4 თვის განმავლობაში ზოგ ადგილას 400-ზე მეტი კილომეტრი გაიარა, და მეორე პერიოდი—ეს არის ზაფხულის პერიოდი, როდესაც გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა, ისარგებლეს რა იმით, რომ არ არსებობს მეორე ფრონტი ევროპაში, მთელი თავისი თავისუფალი რეზერვები შეაგროვეს, გაარღვიეს ფრონტი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, და, აიღეს რა ინიციატივა თავის ხელში, 5 თვის განმავლობაში ზოგ ადგილას 500 კილომეტრამდე გაიარეს.

საომარმა მოქმედებამ პირველი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით კი წითელი არმიის წარმატებითმა მოქმედებამ როსტოვის, ტულის, კალუგის რაიონში, მოსკოვთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან—ორი ღირსშესანიშნავი ფაქტი გამოავლინა. მან დაგვანახვა, ჯერ-ერთი, ის, რომ წითელი არმია და მისი საბრძოლო კადრები გაიზარდნენ სერიოზულ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო გაუმკლავდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემოტევას, არამედ კიდეც დაამარცხოს ისინი აშკარა ბრძოლაში და უკან გარეკოს. მეორეც,—მან დაგვანახვა, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს მთელ მათს სიმტკიცესთან ერთად აქვთ ისეთი სერიოზული ორგანული ნაკლოვანებანი, რომლებსაც წითელი არმიისათვის ზოგ ხელსაყრელ პირობებში შეუძლიათ გამოიწვიონ გერმანელთა ჯარების დამარცხება. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გერმანელთა ჯარები, რომლებმაც ტრიუმფალური მარშით გაიარეს მთელი ევროპა და ერთი დაკვრით შემუსრეს ფრანგთა ჯარები, რომლებიც პირველხარისხოვან ჯარებად ითვლებოდნენ, მარტო ჩვენს ქვეყანაში შეხვდნენ ნამდვილ საომარ წინააღმდეგობას, და არა მარტო წინააღმდეგობას, არამედ იძულებული გახდნენ წითელი არმიის დარტყმებით უკან დაეხიათ დაკავებული პოზიციებიდან 400-ზე მეტი კილომეტრით და უკანდახევის გზაზე მიეტოვებინათ ქვემეხების, მანქანების, საომარი მასალების კოლოსალური რაოდენობა. მხოლოდ ზამთრის ომის პირობებით არაგზით არ შეიძლება ამ ფაქტის ახსნა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საომარი მოქმედების მეორე პერიოდი აღინიშნება გარდატეხით გერმანელთა სასარგებლოდ, გერმანელთა ხელში ინიციატივის გადასვლით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ჩვენი ფრონტის გარღვევით, გერმანელთა ჯარების წინ წამოწევით და ვორონეჟის, სტალინგრადის, ნოვოროსიისკის, პიატიგორსკის, მოზდოკის რაიონებში გამოსვლით. ისარგებლეს რა იმით, რომ არ არსებობს მეორე ფრონტი ევროპაში, გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა ფრონტზე მოაყარეს მთელი თავისი თავისუფალი რეზერვები და, გამიზნეს რა ისინი ერთი მიმართულებით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, აქ შექმნეს ძალთა დიდი სიჭარბე და მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებას მიაღწიეს.

როგორც ჩანს, გერმანელები უკვე იმდენად ძლიერნი აღარ არიან, რომ ერთდროულად წარმართონ შეტევა სამივე მიმართულებით, სამხრეთით, ჩრდილოეთით, ცენტრისკენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანელთა შემოტევის პირველ თვეებში გასული წლის ზაფხულში, მაგრამ ისინი კიდევ საკმაოდ ძლიერნი არიან იმისათვის, რომ მოაწყონ სერიოზული შემოტევა რომელიმე ერთი მიმართულებით.

რა მთავარ მიზანს ისახავდნენ გერმანელი ფაშისტი სტრატეგები, იწყებდნენ რა თავის ზაფხულის შემოტევას ჩვენს ფრონტზე? თუ უცხოური პრესის, მათ რიცხვში გერმანული პრესის გამოხმაურების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შემოტევის მთავარი მიზანი მდგომარეობდა გროზნოსა და ბაქოს ნავთიანი რაიონების დაკავებაში. მაგრამ ფაქტები გადაჭრით უარჰყოფენ ასეთ მოსაზრებას. ფაქტები მოწმობენ, რომ გერმანელთა წამოწევა სსრ კავშირის ნავთიან რაიონების მიმართულებით წარმოადგენს არა მთავარ, არამედ დამხმარე მიზანს.

მაშ რაში მდგომარეობდა, ამ შემთხვევაში, გერმანელთა შემოტევის მთავარი მიზანი? იგი იმაში მდგომარეობდა, რომ შემოევლოთ მოსკოვისათვის აღმოსავლეთიდან, მოეწყვიტათ იგი ვოლგისა და ურალის ზურგისაგან და შემდეგ დაერტყათ მოსკოვისათვის. გერმანელთა წამოწევას სამხრეთით ნავთიანი რაიონებისაკენ თავის დამხმარე მიზნად ჰქონდა არა მარტო და არა იმდენად ნავთიანი რაიონების დაკავება, რამდენადაც ჩვენი მთავარი რეზერვების მიზიდვა სამხრეთით და მოსკოვის ფრონტის შესუსტება, რათა მით უფრო ადვილად მიეღწიათ წარმატებისათვის მოსკოვზე დარტყმისას. არსებითად ამით აიხსნება კიდეც, რომ გერმანელთა ჯარების მთავარი დაჯგუფება ახლა იმყოფება არა სამხრეთში, არამედ ორიოლისა და სტალინგრადის რაიონში.

ამას წინათ ჩვენს ადამიანებს ხელში ჩაუვარდათ გერმანიის გენერალური შტაბის ერთი გერმანელი ოფიცერი. ამ ოფიცერს უპოვნეს რუკა, რომელზეც აღნიშნული იყო გერმანელთა ჯარების მოძრაობის გეგმა ვადების მიხედვით. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ გერმანელებს განზრახვა ჰქონდათ ყოფილიყვნენ ბორისოგლებსკში ამა წლის 10 ივლისს, სტალინგრადში—25 ივლისს, სარატოვში—10 აგვისტოს, კუიბიშევში—15 აგვისტოს, არზამასში — 10 სექტემბერს, ბაქოში—25 სექტემბერს.

ეს დოკუმენტი სავსებით ადასტურებს ჩვენს ცნობებს იმის შესახებ, რომ გერმანელთა ზაფხულის შემოტევის მთავარი მიზანი მდგომარეობდა მოსკოვის შემოვლაში აღმოსავლეთიდან და მოსკოვისათვის დარტყმაში, მაშინ როცა სამხრეთით წამოწევას თავის მიზნად ჰქონდა, სხვა ყოველივეს გარდა, ჩვენი რეზერვების მოცილება რაც შეიძლება მორს მოსკოვიდან და მოსკოვის ფრონტის შესუსტება, რათა მით უფრო ადვილი ყოფილიყო მოსკოვზე დარტყმის განხორციელება.

მოკლედ რომ ვთქვათ, გერმანელთა ზაფხულის შემოტევის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ გარს შემორტყმოდნენ მოსკოვს და წელს დაემთავრებინათ ომი.

გასული წლის ნოემბერში გერმანელები ვარაუდობდნენ მოსკოვზე პირდაპირი დარტყმით აეღოთ მოსკოვი, აეძულებინათ წითელი არმია კაპიტულაცია მოეხდინა და ამით მიეღწიათ აღმოსავლეთში ომის დამთავრებისათვის. ამ ილუზიებით ჰკვებავდნენ ისინი თავის ჯარისკაცებს. მაგრამ გერმანელთა ეს ანგარიში, როგორც ცნობილია, არ გამართლდა. პირი დაიწვეს რა გასულ წელს მოსკოვზე პირდაპირ დარტყმაში, გერმანელებმა განიზრახეს მოსკოვის აღება წელს უკვე შემოვლითი მოძრაობით და აღმოსავლეთში ამით ომის დამთავრება. ამ ილუზიებით ჰკვებავენ ისინი ახლა თავის გაბრიყვებულ ჯარისკაცებს. როგორც ცნობილია, გერმანელთა არც ეს ანგარიში გამართლდა. შედეგად, დაედევნენ რა ორ კურდღელს—ნავთსაც, და მოსკოვის გარშემორტყმასაც, — გერმანელი ფაშისტი სტრატეგები საძნელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ამრიგად, გერმანელთა ზაფხულის შემოტევის ტაქტიკური წარმატებანი დაუმთავრებელი აღმოჩნდნენ მათი სტრატეგიული გეგმების აშკარა არარეალობის გამო.

3. საკითხი მეორე ფრონტისა ევროპაში

რით აიხსნება ის ფაქტი, რომ გერმანელებმა მაინც მოახერხეს წელს ხელში აეღოთ საომარი მოქმედების ინიციატივა და მოეპოვებინათ სერიოზული ტაქტიკური წარმატებანი ჩვენს ფრონტზე?

ეს აიხსნება იმით, რომ გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა მოახერხეს შეეგროვებინათ მთელი თავიანთი თავისუფალი რეზერვები, მოეყარათ ისინი აღმოსავლეთის ფრონტზე და შეექმნათ ძალების დიდი სიჭარბე ერთ-ერთი მიმართულებით. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანელები ამ ღონისძიებათა გაუტარებლად ვერ შესძლებდნენ წარმატების მიღწევას ჩვენს ფრონტზე.

მაგრამ რატომ მოახერხეს მათ შეეგროვებინათ მთელი თავიანთი რეზერვები და მოეყარათ ისინი აღმოსავლეთის ფრონტზე? იმიტომ, რომ ევროპაში მეორე ფრონტის არ არსებობამ მათ შესაძლებლობა მისცა მოეხდინათ ეს ოპერაცია თავისთვის რაიმე რისკის გაუწევლად.

მაშასადამე, ჩვენს ფრონტზე წელს გერმანელების ტაქტიკურ წარმატებათა მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობამ მათ შესაძლებლობა მისცა მოეყარათ ჩვენს ფრონტზე მთელი თავისუფალი რეზერვები და შეექმნათ თავიანთი ძალების დიდი სიჭარბე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

დავუშვათ, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არსებულიყო, ისევე როგორც იგი პირველი მსოფლიო ომის დროს არსებობდა, და მეორე ფრონტს თავისკენ მიეზიდა, ვთქვათ გერმანელთა 60 დივიზია და გერმანიის მოკავშირეთა 20 დივიზია. როგორი იქნებოდა გერმანიის ჯარების მდგომარეობა ჩვენს ფრონტზე? ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მათი მდგომარეობა სავალალო იქნებოდა. უფრო მეტი, ეს იქნებოდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების აღსასრულის დასაწყისი, ვინაიდან წითელი არმია ამ შემთხვევაში იდგომებოდა არა იქ, სადაც იგი ახლა დგას, არამედ სადმე პსკოვის, მინსკის, ჟიტომირის, ოდესის ახლოს. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ამა წლის ზაფხულში გერმანელ ფაშისტთა არმია თავისი კატასტროფის წინაშე იდგომებოდა. და თუ ეს არ მოხდა, ეს იმიტომ, რომ გერმანელები იხსნა ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობამ.

განვიხილოთ ევროპაში მეორე ფრონტის საკითხი ისტორიული თვალსაზრისით.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიას მოუხდა ბრძოლა ორ ფრონტზე, დასავლეთში, უმთავრესად, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, და აღმოსავლეთში — რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. მაშასადამე, პირველ მსოფლიო ომში არსებობდა მეორე ფრონტი გერმანიის წინააღმდეგ. 220 დივიზიიდან, რაც მაშინ გერმანიას ჰყავდა, რუსეთის ფრონტზე იდგა გერმანელთა არა უმეტეს 85 დივიზიისა. თუ ამას დავუმატებთ გერმანიის მოკავშირეთა ჯარებს, რომლებიც რუსეთის ფრონტის წინააღმდეგ იდგნენ, სახელდობრ, ავსტრია-უნგრეთის 37 დივიზიას, ბულგარეთის 2 და თურქეთის 3 დივიზიას, სულ გამოვა 127 დივიზია, რომლებიც რუსეთის ჯარების წინააღმდეგ იდგნენ. გერმანიისა და მისი მოკავშირეების დანარჩენ დივიზიებს ეკავათ ფრონტი, უმთავრესად, ინგლის-საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ, ხოლო მათი ნაწილი საგარნიზონო სამსახურს ეწეოდა ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიებში.

ასეთი იყო საქმის ვითარება პირველ მსოფლიო ომში.

როგორია საქმის ვითარება ახლა, მეორე მსოფლიო ომში, ვთქვათ, ამა წლის სექტემბერში?

შემოწმებული ცნობებით, რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევს, 256 დივიზიიდან, რაც ახლა გერმანიას ჰყავს, ჩვენს ფრონტზე დგას გერმანელთა არა ნაკლებ 179 დივიზიისა. თუ ამას დავუმატებთ რუმინელთა 22 დივიზიას, ფინელთა 14 დივიზიას, იტალიელთა 10 დივიზიას, უნგრელთა 13 დივიზიას, სლოვაკთა 1 დივიზიას და ესპანელთა 1 დივიზიას, სულ გამოვა 240 დივიზია, რომლებიც ახლა ჩვენს ფრონტზე იბრძვიან. გერმანელთა და მათ მოკავშირეთა დანარჩენი დივიზიები საგარნიზონო სამსახურს ეწევიან ოკუპირებულ ქვეყნებში (საფრანგეთი, ბელგია, ნორვეგია, ჰოლანდია, იუგოსლავია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ა. შ.), მათი ნაწილი კი აწარმოებს ომს ლიბიაში ეგვიპტისათვის, ინგლისის წინააღმდეგ, ამასთან ლიბიის ფრონტს მიზიდული ჰყავს გერმანელთა მხოლოდ 4 დივიზია და იტალიელთა 11 დივიზია.

მაშასადამე, ნაცვლად 127 დივიზიისა, რაც პირველ მსოფლიო ომში იყო, ახლა ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ დგას არა ნაკლებ 240 დივიზიისა, ხოლო გერმანელთა 85 დივიზიის ნაცვლად ახლა არის გერმანელთა 179 დივიზია, რომლებიც წითელი არმიის წინააღმდეგ იბრძვიან.

აი სად არის ჩვენს ფრონტზე ამა წლის ზაფხულში გერმანელ ფაშისტთა ჯარების ტაქტიკურ წარმატებათა მთავარი მიზეზი და საფუძველი.

ჩვენს ქვეყანაში გერმანელთა შემოსევას ხშირად ადარებენ ნაპოლეონის შემოსევას რუსეთში. მაგრამ ეს შედარება კრიტიკას ვერ უძლებს. 600 ათასი ჯარისკაციდან, რომლებიც რუსეთზე გამოსალაშქრებლად წამოვიდნენ, ნაპოლეონმა ბოროდინომდე ძლივს 130-140 ათასი ჯარისკაცი მოიყვანა. ეს იყო სულ, რაც მას შეეძლო მოსკოვთან ჰყოლოდა. ახლა კი სამ მილიონზე მეტი ჯარისკაცია, რომლებიც წითელი არმიის ფრონტის წინაშე დგანან და რომლებიც შეიარაღებული არიან თანამედროვე ომის ყველა საშუალებით. რაღა შედარება შეიძლება აქ?

ჩვენს ქვეყანაში გერმანელთა შემოსევას ზოგჯერ ადარებენ აგრეთვე გერმანიის შემოსევას რუსეთში პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. მაგრამ ეს შედარებაც ვერ უძლებს კრიტიკას. ჯერ-ერთი, პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში არსებობდა მეორე ფრონტი, რომელიც ძალზე აძნელებდა გერმანელთა მდგომარეობას, მაშინ როცა ახლანდელ ომში მეორე ფრონტი ევროპაში არ არის. მეორეც, ამ ომში ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ დგას ერთიორად მეტი ჯარი, ვიდრე პირველ მსოფლიო ომში იყო. ცხადია, რომ შედარება არ უდგება.

ახლა თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად სერიოზული და არაჩვეულებრივია ის სიძნელეები, რომლებიც წითელი არმიის წინაშე დგანან, და რაოდენ დიდია ის გმირობა, რასაც წითელი არმია იჩენს მის განმათავისუფლებელ ომში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, რომ ვერც ერთი სხვა ქვეყანა და ვერც ერთი სხვა არმია ვერ შესძლებდა გაეძლო გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა და მათ მოკავშირეთა გამხეცებული ბანდების ასეთ შემოტევისათვის. მარტო ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, და მარტო ჩვენს წითელ არმიას შეუძლიათ გაუძლონ ასეთ შემოტევას. **(მქუხარე ტაში).** და არა მარტო გაუძლონ, არამედ კიდეც დასძლიონ იგი.

ხშირად კითხულობენ: იქნება კი მაინც მეორე ფრონტი ევროპაში? დიახ, იქნება ადრე თუ გვიან, მაგრამ იქნება. და იგი იქნება არა მარტო იმიტომ, რომ იგი ჩვენ გვესაჭიროება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ იგი არა ნაკლებ ესაჭიროებათ ჩვენს მოკავშირეებს, ვიდრე ჩვენ. ჩვენს მოკავშირეებს არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მწყობრიდან გამოვიდა, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მეორე ფრონტის არარსებობა შეიძლება ცუდად დამთავრდეს ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნისათვის, მათ რიცხვში—თვით მოკავშირეებისათვის.

4. სსრ კავშირის, ინგლისისა და ა. შ. შტატების საბრძოლო კავშირი ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი მოკავშირეების წინააღმდეგ

ახლა უკვე შეიძლება უდავოდ ჩაითვალოს, რომ ომის მსვლელობაში, რომელიც თავს მოახვია ხალხებს ჰიტლერულმა გერმანიამ, მოხდა ძალთა ძირფესვიანი გამიჯვნა, შეიქმნა ორი მოპირდაპირე ბანაკი, იტალია-გერმანიის კოალიციის ბანაკი და ინგლის-საბჭოთა კავშირ - ამერიკის კოალიციის ბანაკი.

უდავოა აგრეთვე ისიც, რომ ეს ორი მოპირდაპირე კოალიცია ხელმძღვანელობს მოქმედების ორი სხვადასხვა მოპირდაპირე პროგრამით.

იტალია-გერმანიის კოალიციის მოქმედების პროგრამა შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგი პუნქტებით: რასიული სიძულვილით; „რჩეული" ერების ბატონობა; სხვა ერების დამორჩილება და მათი ტერიტორიების დაპყრობა; დამორჩილებული ერების ეკონომიური დამონება და მათი ეროვნული დოვლათის დატაცება; დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობა; ყველგან ჰიტლერული რეჟიმის დამყარება.

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მოქმედების პროგრამა: რასიული განკერძოებულობის მოსპობა; ერების თანასწორუფლებიანობა და მათი ტერიტორიების ხელუხლებლობა; დამონებული ერების განთავისუფლება და მათი სუვერენული უფლებების აღდგენა; თითოეული ერის უფლება—მოეწყოს თავისი სურვილისამებრ; ეკონომიური დახმარება დაზარალებულ ერთათვის და მათი მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საქმეში მათთვის ხელის შეწყობა; დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენა; ჰიტლერული რეჟიმის მოსპობა.

იტალია-გერმანიის კოალიციის მოქმედების პროგრამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ევროპის ყველა ოკუპირებული ქვეყნები — ნორვეგია, დანია, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, საბერძნეთი, სსრ კავშირის ოკუპირებული ოლქები — აღგზნებულნი არიან იტალია-გერმანიის ტირანიისადმი სიძულვილით, ზიანს აყენებენ გერმანელებსა და მათს მოკავშირეებს, როგორც კი შეუძლიათ, და მარჯვე მომენტს უცდიან იმისათვის, რომ შური იძიონ თავიანთ დამმონებლებზე იმ დამცირებისა და ძალადობისათვის, რასაც ისინი განიცდიან.

ამასთან დაკავშირებით თანამედროვე მომენტის ერთ-ერთი დამახასია-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის—ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე

(დასასრული)

თებელი მხარე ის არის, რომ პროგრესიულად იზრდება იტალია-გერმანიის კოალიციის იზოლაცია და მისი მორალურ-პოლიტიკური რეზერვების გამოლევა ევროპაში, იზრდება მისი დასუსტება და გახრწნა.

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მოქმედების პროგრამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ევროპის ყველა ოკუპირებული ქვეყანა გამსჭვალულია ამ კოალიციის წევრებისადმი თანაგრძნობით და მზად არის აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება, რაც კი ამ ქვეყნებს შეუძლიათ.

ამასთან დაკავშირებით თანამედროვე მომენტის მეორე დამახასიათებელი მხარე ის არის, რომ ამ კოალიციის მორალურ-პოლიტიკური რეზერვები დღითიდღე იზრდება ევროპაში, და არამარტო ევროპაში, — და რომ ამ კოალიციას პროგრესიულად ემატებიან მილიონობით თანამგრძნობი ადამიანები, რომლებიც მზად არიან მასთან ერთად იბრძოლონ ჰიტლერის ტირანიის წინააღმდეგ.

ორივე კოალიციის ძალთა თანაფარდობის საკითხი ადამიანთა და მატერიალური რესურსების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, არ შეიძლება იმ დასკვნამდე არ მივიდეთ, რომ აქ ჩვენ უდავო უპირატესობა გვაქვს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მხარეზე.

მაგრამ აი კითხვა: საკმარისია თუ არა მარტო ეს უპირატესობა, რომ გამარჯვება მოვიპოვოთ? ხომ არის ისეთი შემთხვევები, როცა რესურსები ბევრია, მაგრამ ეს რესურსები ისე უთავბოლოდ იხარჯება, რომ უპირატესობა ნულად იქცევა. ცხადია, რომ გარდა რესურსებისა საჭიროა კიდევ ამ რესურსების მობილიზების ნიჭი და მათი სწორად დახარჯვის უნარი. არის თუ არა საფუძველი დავვეჭვდეთ იმაში, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის ადამიანებს ასეთი უნარი და ასეთი ნიჭი აქვთ? არიან ადამიანები, რომლებიც ამას ეჭვობენ. მაგრამ რა საფუძვლით ეჭვობენ ისინი? თავის დროზე ამ კოალიციის ადამიანებმა გამოიჩინეს უნარი და ნიჭი მოეხდინათ თავიანთი ქვეყნების რესურსების მობილიზება და სწორად ეხარჯათ ისინი სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკური მშენებლობის მიზნებისათვის. იბადება კითხვა, რა საფუძველია დავვეჭვდეთ იმაში, რომ ადამიანები, რომლებმაც ნიჭი და უნარი გამოიჩინეს სამეურნეო და კულტურულ-პოლიტიკური მიზნებისათვის რესურსების მობილიზებისა და განაწილების საქმეში, აღმოჩნდებიან უუნარონი — შეასრულონ იგივე სამუშაო საომარი მიზნების განსახორციელებლად? მე ვფიქრობ, რომ ასეთი საფუძვლები არ არის.

ამბობენ, ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციას აქვს გამარჯვების ყველა შანსი და იგი ნამდვილად გაიმარჯვებდა, მას რომ ერთი ორგანული ნაკლი არა ჰქონოდა, რომელსაც შეუძლია დაასუსტოს და დაშალოს იგიო. ეს ნაკლი, ამ ადამიანთა აზრით, იმით გამოიხატება, რომ ეს კოალიცია შესდგება სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან, რომლებსაც აქვთ არაერთნაირი იდეოლოგია და რომ ეს გარემოება საშუალებას არ მისცემს მათ ერთობლივი მოქმედება მოაწყონ საერთო მტრის წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, რომ ეს მტკიცება სწორი არ არის.

სასაცილო იქნებოდა უარგვეყო განსხვავება იმ სახელმწიფოთა იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ წყობილებაში, რომლებიც ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციაში შედიან. მაგრამ გამორიცხავს თუ არა ეს გარემოება ამ კოალიციის წევრთა ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილებას საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელსაც მათთვის დამონების საფრთხე მოაქვს? უსათუოდ, არ გამორიცხავს. უფრო მეტიც,—შექმნილი საფრთხე მბრძანებლურად უკარნახებს კოალიციის წევრებს ერთობლივი მოქმედების აუცილებლობას იმისათვის, რომ იხსნან კაცობრიობა ველურობისა და შუასაუკუნეობრივი მხეცობისაკენ დაბრუნებისაგან. განა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მოქმედების პროგრამა საკმაო არ არის იმისათვის, რომ მის საფუძველზე მოეწყოს ერთობლივი ბრძოლა ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ და მიღწეულ იქნას ამ ტირანიაზე გამარჯვება? მე ვფიქრობ, რომ სრულიად საკმაოა.

ამ ადამიანთა მოსაზრება არასწორია კიდევ იმიტომაც, რომ მას სავსებით უარჰყოფენ გასული წლის მოვლენები. მართლაც, ეს ადამიანები რომ მართალი იყვნენ, ჩვენ მოწმენი ვიქნებოდით ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის წევრთა ერთმანეთისაგან პროგრესიული დაშორების ფაქტებისა. მაგრამ ჩვენ არა თუ ამის მოწმენი არა ვართ, არამედ, პირიქით, ჩვენ მოგვეპოვება ფაქტები და მოვლენები, რომლებიც მოწმობენ ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის წევრთა პროგრესიულ დაახლოებასა და ერთიან საბრძოლო კავშირად მათს გაერთიანებას. გასული წლის მოვლენები ამის პირდაპირ საბუთს იძლევიან. 1941 წლის ივლისში, სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის რამდენიმე კვირის შემდეგ, ინგლისმა ჩვენთან დასდო შეთანხმება—„გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ“. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არა გვქონდა არავითარი შეთანხმება ამ საგანზე. ამ დროიდან ათი თვის შემდეგ, 1942 წლის 26 მაისს, ამხ. მოლოტოვის ინგლისში ყოფნის დროს, ინგლისმა დასდო ჩვენთან „ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე“. ეს ხელშეკრულება დადებულია 20 წლით. იგი მოასწავებს ისტორიულ მობრუნებას ჩვენი ქვეყნისა და ინგლისის ურთიერთობაში. 1942 წლის ივნისში, ამხ. მოლოტოვის ა. შ. შტატებში ყოფნის დროს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს ჩვენთან „შეთანხმებას იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისას“, შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს წინ სსრ კავშირისა და ა. შ. შტატების ურთიერთობაში. დასასრულ, უნდა აღინიშნოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორიც არის დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ჩერჩილის ყოფნა მოსკოვში, რამაც სრული ურთიერთგაგება დაამყარა ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის. ეჭვს გარეშეა ის, რომ ყველა ეს ფაქტი მოწმობს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესიულ დაახლოებას და მათს გაერთიანებას საბრძოლო კავშირში იტალია-გერმანიის კოალიციის წინააღმდეგ.

გამოდის, რომ საგანთა ლოგიკა ყველა სხვა ლოგიკაზე უფრო ძლიერია.

დასკვნა ერთია: ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციას ყველა შანსი მოეპოვება, რათა გაიმარჯვოს იტალია-გერმანიის კოალიციაზე და იგი უეჭველად გაიმარჯვებს.

5. ჩვენი ამოცანები

ომმა ჩამოჰგლიჯა ყველა საბურველი და გააშიშვლა ყველა ურთიერთობა. მდგომარეობა იმდენად ცხადი გახდა, რომ არაფერია იმაზე უფრო ადვილი, ვიდრე ის, რომ განსაზღვრო ჩვენი ამოცანები ამ ომში.

თურქ გენერალ ერკილეტთან თავის საუბარში, რაც თურქულ გაზეთ „ჯუმხურიეტში“ გამოქვეყნდა, კაციჭამია ჰიტლერი ამბობს: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რომ მან ვერასოდეს ვეღარ შესძლოს წამოდგომა“. თითქოს ნათელია, თუმცა სულელურია. **(სიცილი).** ჩვენ არა გვაქვს ისეთი ამოცანა, რომ მოვსპოთ გერმანია, ვინაიდან შეუძლებელია გერმანიის მოსპობა. ისევე როგორც შეუძლებელია რუსეთის მოსპობა. მაგრამ ჰიტლერული სახელმწიფოს მოსპობა შესაძლებელია და იგი კიდევაც უნდა მოვსპოთ. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი პირველი ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოვსპოთ ჰიტლერული სახელმწიფო და მისი სულისჩამდგმელნი. **(მქუხარე ტაში).**

იმავე საუბარში იმავე გენერალთან კაციჭამია ჰიტლერი განაგრძობს: „ჩვენ მანამდე განვაგრძობთ ომს, სანამ რუსეთში ორგანიზებული სამხედრო ძალა აღარ დარჩება“. თითქოს ნათელია, თუმცა უვიცობაა. **(სიცილი).** ჩვენ არა გვაქვს ისეთი ამოცანა, რომ მოვსპოთ ყოველგვარი ორგანიზებული სამხედრო ძალა გერმანიაში, ვინაიდან ყოველი მცოდნე ადამიანი მიხვდება, რომ ეს არა თუ შეუძლებელია გერმანიის მიმართ, ისევე როგორც რუსეთის მიმართ, არამედ მიზანშეუწონელიც არის გამარჯვებულის თვალსაზრისით. მაგრამ ჰიტლერული არმიის მოსპობა შესაძლებელია და იგი კიდევაც უნდა მოვსპოთ. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი მეორე ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოვსპოთ ჰიტლერული არმია და მისი ხელმძღვანელები. **(მქუხარე ტაში).**

ჰიტლერელმა არამზადებმა წესად შემოიღეს აწამონ საბჭოთა სამხედრო ტყვეები, ასობით ხოცონ ისინი, შიმშილით სიკვდილი არგუნონ ათასობით მათგანს. ისინი ძალადობას სჩადიან ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის, მამაკაცებისა და ქალების, ბავშვებისა და მოხუცების, ჩვენი ძმებისა და დების მიმართ და ხოცავენ მათ. მათ მიზნად დაისახეს მონად აქციონ ან გაჟლიტონ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, მოლდავეთის, ყირიმის, კავკასიის მოსახლეობა. მხოლოდ საზიზღარ ადამიანებსა და არამზადებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ღირსებასა და პირუტყვის მდგომარეობამდე დაცემულან, შეუძლიათ ნება მისცენ თავიანთ თავს ჩაიდინონ ასეთი უმსგავსობანი უდანაშაულო, უიარაღო ადამიანთა მიმართ. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მათ ევროპა სახრჩობელებითა და საკონცენტრაციო ბანაკებით მოჰფინეს. მათ შემოიღეს საძაგელი „სისტემა მძევლებისა“. ისინი ხვრეტენ და ახრჩობენ „საწინდრად“ წაყვანილ სრულიად უდანაშაულო მოქალაქეებს იმისათვის, რომ რომელიმე გერმანელ პირუტყვს ხელი შეუშალეს ძალადობა ეხმარნა ქალებზე ან გაეძარცვა მოსახლენი. მათ ევროპა ხალხთა საპყრობილედ გადააქციეს. და ამას უწოდებენ ისინი „ახალ წესრიგს ევროპაში“. ჩვენ ვიცნობთ ამ უმსგავსობათა ჩამდენ დამნაშავეებს, „ევროპაში ახალი წესრიგის“ მშენებლებს, ყველა ამ ახლადგამომცხვარ გენერალ-გუბერნატორებსა და ისე გუბერნატორებს, კომენდანტებსა და ქვეკომენდანტებს. მათს სახელებს იცნობენ ათეულ ათასობით განაწამები ადამიანები. დაე იცოდნენ ამ ჯალათებმა, რომ ისინი ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას თავიანთ დანაშაულობათათვის და თავს ვერ დააღწევენ განაწამებ ხალხთა დამსჯელ ხელს.

ჩვენი მესამე ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავანგრიოთ საზიზღარი „ახალი წესრიგი ევროპაში“ და დავსაჯოთ მისი მშენებლები.

ასეთია ჩვენი ამოცანები. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენ ვაწარმოებთ დიდ განმათავისუფლებელ ომს. ჩვენ ვაწარმოებთ მას არა მარტონი, არამედ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად. მას ჩვენთვის მოაქვს გამარჯვება კაცობრიობის საზიზღარ მტრებზე, გერმანელ ფაშისტ იმპერიალისტებზე. ამ ომის დროშას აწერია:

გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირს! **(ტაში).**

გაუმარჯოს ევროპის ხალხთა განთავისუფლებას ჰიტლერული ტირანიისაგან! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას! **(ტაში).**

წყევლა-კრულვა და სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ, მათს სახელმწიფოს, მათს არმიას, მათს „ახალ წესრიგს ევროპაში!“ **(ტაში).**

ჩვენს წითელ არმიას—დიდება! **(მქუხარე ტაში).**

ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს—დიდება! **(მქუხარე ტაში).**

ჩვენს პარტიზან კაცებსა და ქალებს—დიდება! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. მთელი დარბაზის ოვაცია).**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცდახუთი წლისთავის აღსანიშნავი სხდომა მწერალთა კავშირში

6 ნოემბერს, საღამოს, მწერალთა კავშირის სხდომის დარბაზში შესდგა მწერლებისა, ხელოვანთა, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თანამშრომელთა და მწერალთა კავშირის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო სხდომა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

სხდომა გახსნა ამხ. ი. ლისაშვილმა.

ვრცელი მოხსენება საბჭოთა ხალხის მიერ 25 წლის მანძილზე მოპოვებულ უდიდეს სამეურნეო და კულტურულ გამარჯვებათა და მათი დაცვისათვის წარმოებულ დიად სამამულო ომის შესახებ წაიკითხა ამხ. შალვა რადიანმა.

საზეიმო სხდომა დასრულდა მქუხარე ტაშით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორის, ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მამაცი წითელი არმიის მხედართმთავრის დიდი სტალინის პატივსაცემად.

ბრძანება

თავდაცვის სახალხო კომისრისა

1942 წლის 7 ნოემბერი № 345 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო ქალებო და კაცებო! საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ოცდახუთი წლისთავის დღეს.

მეოთხედი საუკუნის წინათ მუშებმა და გლეხებმა ბოლშევიკების პარტიისა და დიდი ლენინის ხელმძღვანელობით დაამყარეს ჩვენს ქვეყანაში საბჭოების ხელისუფლება. სახელოვანი გზა განვლეს საბჭოთა კავშირის ხალხებმა ამ ხნის მანძილზე. ოცდახუთი წლის მანძილზე ჩვენი სამშობლო გახდა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფო. მოიპოვეს რა თავისთვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, საბჭოთა სახელმწიფოს ხალხები გაერთიანდნენ ურღვევ ძმურ თანამეგობრობაში. საბჭოთა ადამიანები განთავისუფლდნენ ყოველგვარი ჩაგვრისაგან და შეუპოვარი შრომით უზრუნველჰყვეს თავისთვის შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

ამჟამად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავს ჩვენი ქვეყნის ხალხები ხვდებიან გერმანელი ფაშისტი დამპყრობებისა და ევროპაში მათი თანამონაწილეების წინააღმდეგ გაჩაღებულ სასტიკ ბრძოლაში.

ამა წლის დამდეგს, ზამთრის პერიოდში, წითელმა არმიამ სერიოზული დარტყმები აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. მოიგერია რა გერმანელების იერიში მოსკოვზე, მან თავის ხელში აიღო ინიციატივა, შეტევაზე გადავიდა, გარეკა გერმანელთა ჯარები დასავლეთისაკენ და გერმანელთა მონობიდან გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ოლქები. ამრიგად, წითელმა არმიამ დაგვანახვა, რომ ზოგიერთ ხელსაყრელ პირობებში მას შეუძლია სძლიოს გერმანელ ფაშისტთა ჯარებს.

მაგრამ ზაფხულში მდგომარეობა ფრონტზე ცუდი მხრით შეიცვალა. ისარგებლეს რა იმით, რომ არ არსებობს მეორე ფრონტი ევროპაში, გერმანელებმა და მათმა მოკავშირეებმა ცოცხით მოხვეტეს მთელი თავისი რეზერვები, მოაყარეს ისინი ჩვენს ფრონტს უკრაინაში და გაარღვიეს იგი. უდიდესი ზარალის ფასად გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა მოახერხეს წამოწევა სამხრეთში და სტალინგრადის, შავი ზღვის სანაპიროს, გროზნოს, ამიერ-კავკასიის მისადგომების საფრთხეში ჩაგდება.

მართალია, წითელი არმიის სიმტკიცემ და მამაცობამ ჩაშალეს გერმანელთა გეგმები აღმოსავლეთიდან მოსკოვის შემოვლისა და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქისათვის ზურგიდან დარტყმისა. მტერი შეჩერებულ იქნა სტალინგრადთან. მაგრამ მტერი, რომელიც შეჩერებულ იქნა სტალინგრადთან და იქ უკვე ათიათასობით თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა, ახალ დივიზიებს მოერეკება ბრძოლაში და უკანასკნელ ძალებს ძაბავს. ბრძოლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სულ უფრო დაძაბული ხდება. ამ ბრძოლის შედეგზე დამოკიდებულია საბჭოთა სახელმწიფოს ბედი, ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ჩვენმა საბჭოთა ხალხმა ღირსეულად გადაიტანა განსაცდელნი, რომლებიც მას წილად ხვდა, და აღსავსეა გამარჯვების ურყევი რწმენით. ომი გახდა საბჭოთა წყობილების ძალისა და სიმტკიცის მკაცრი შემოწმება. გერმანელი იმპერიალისტების ვარაუდი საბჭოთა სახელმწიფოს დაშლისა სავსებით ჩაიფუშა. ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა მრეწველობამ, საკოლმეურნეო წყობილებამ, ხალხთა მეგობრობამ, საბჭოთა სახელმწიფომ—გვიჩვენეს თავიანთი სიმტკიცე და შეურყევლობა. ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები, მთელი ინტელიგენცია, მთელი ჩვენი ზურგი პატიოსნად და თავდადებით მუშაობენ ჩვენი ფრონტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

წითელი არმია იტანს ჰიტლერული გერმანიისა და მისი თანამონაწილეების წინააღმდეგ ომის მთელ სიმძიმეს. ფაშისტთა არმიების წინააღმდეგ თავისი თავდადებული ბრძოლით მან მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. წითელი არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა, რომლებსაც წინათ არა ჰქონდათ საკმაო საომარი გამოცდილება, ისწავლეს ნამდვილად ურტყან მტერს, მოსპონ მისი ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ჩაშალონ მტრის განზრახვები, მტკიცედ დაიცვან ჩვენი ქალაქები და სოფლები უცხოელ დამმონებელთაგან. მოსკოვისა და ტულის, ოდესისა და სევასტოპოლის, ლენინგრადისა და სტალინგრადის გმირმა დამცველებმა გვიჩვენეს თავდადებული სიმამაცის, რკინისებური დისციპლინის, გამძლეობისა და გამარჯვების უნარის ნიმუშები. ამ გმირებს ჰბაძავს მთელი ჩვენი წითელი არმია. მტერმა უკვე თავის ტყავზე გამოსცადა წითელი არმიის წინააღმდეგობის უნარი. იგი კიდევ გაიგებს წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმების ძალას.

ეჭვს გარეშეა, რომ გერმანელი დამპყრობნი კიდევ გადაეშვებიან ახალ ავანტიურებში. მაგრამ მტრის ძალები უკვე ძირგამოთხრილია და ზღვარზე იმყოფება. ომის განმავლობაში წითელმა არმიამ მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 8 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ახლა ჰიტლერელთა არმია, რუმინელებით, უნგრელებით, იტალიელებით, ფინელებით შერეული, გაცილებით უფრო სუსტი გახდა, ვიდრე 1941 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე იყო.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანო ქალებო და კაცებო!

თქვენ შეუპოვრობასა და სიმტკიცეზე, მეომრულ უნარსა და მზადყოფნაზე შეასრულოთ თქვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე დამოკიდებულია გერმანელ ფაშისტთა არმიების განადგურება, საბჭოთა მიწა-წყლის გაწმენდა ჰიტლერელ დამპყრობთაგან!

ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი ჰიტლერული სიბილწისაგან.

ამისათვის საჭიროა:

1) მტკიცედ და შეუპოვრად დავიცვათ ჩვენი ფრონტის ხაზი, აღარ მივცეთ მტერს წინ წამოწევის საშუალება, მთელი ძალებით გამოვაცალოთ ქანცი მტერს, ვჟლიტოთ მისი ცოცხალი ძალა, მოვსპოთ მისი ტექნიკა;

2) ყოველნაირად განვამტკიცოთ რკინისებური დისციპლინა, უსასტიკესი წესრიგი და ერთმმართველობა ჩვენს არმიაში, სრულვყოთ ჯარების საბრძოლო წრთვნა და ვამზადოთ, შეუპოვრად და დაჟინებით ვამზადოთ გამანადგურებელი დარტყმა მტრის წინააღმდეგ;

3) გავაღვივოთ საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობის ცეცხლი მტრის ზურგში, ვანგრიოთ მტრის ზურგი, ვჟლიტოთ გერმანელი ფაშისტი არამზადები.

ამხანაგებო!

მტერმა ერთხელ უკვე გამოსცადა წითელი არმიის დარტყმათა ძალა როსტოვთან, მოსკოვთან, ტიხვინთან. შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაშიც იქნება დღესასწაული!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან პარტიზან ქალებსა და კაცებს!

სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს!

თავდაცვის სახალხო კომისარი
ი. სტალინი

მიტინგი მწერალთა სასახლეში ბელადის მოხსენების გამო

8 ნოემბერს, ნაშუადღევს, მწერალთა კლუბში შესდგა საბჭოთა მწერლების, მწერალთა კავშირისა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თანამშრომელთა მიტინგი.

მიტინგი გახსნა ამხ. სანდრო ეულმა.

წაკითხულ იქნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის მიერ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენება, აგრეთვე თავდაცვის სახალხო კომისრის 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანება წითელარმიელებისა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისადმი.

ორივე ეს დიდი ისტორიული დოკუმენტი მიტინგმა დაძაბული ყურადღებითა და შეუნელებელი ინტერესით მოისმინა.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ისე ისმენს ბელადის ისტორიული მოხსენების მგზნებარე მომწოდებელ ლოზუნგებს:

„გაუმარჯოს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!“

„წყევლა-კრულვა და სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ, მათს სახელმწიფოს, მათს არმიას, მათს „ახალ წესრიგს ევროპაში“!

„ჩვენს წითელ არმიას დიდება“.

„ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს დიდება“.

მიტინგზე გამოვიდნენ ამხ. ლ. კანდელაკი, დ. ბენაშვილი, ვ. წულუკიძე, ე. ასტვაცატუროვი, თ. კეჭეყმაძე და სხვები. მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, სხვათაშორის, ნათქვამია:

— შორს არ არის ის დრო, როცა წითელი არმიის დევ-გმირები, რომლებმაც ლენინგრადის, მოსკოვის, სტალინგრადის კარიბჭეებთან საარაკო სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინეს და რომლებმაც უკვდავჰყვეს საბჭოთა იარაღი, თავისუფლებისმოყვარე პროგრესიული კაცობრიობის შეიარაღებულ ძალებთან ერთად გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ ჰიტლერულ ყაჩაღურ არმიას და მრისხანე სახალხო სამართალს გადასცემენ მათ გამხეცებულ ხელმძღვანელებს.

ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება და ბრძანება აღაფრთოვანებს და ახალ საგმირო საქმეებისთვის აღაგზნებს საბჭოთა ხალხს ფრონტსა და ზურგში. ჩვენ, შემოქმედებითი მუშაკები, მრავალ მილიონიან საბჭოთა ხალხთან ერთად გავიღებთ ყოველგვარ მსხვერპლს, რომელსაც კი ჩვენგან მოითხოვს სამშობლო, კაცობრიობის ვერაგ მტერზე ჰიტლერიზმზე გამარჯვების მოპოვებისათვის.

„გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას და წითელ ფლოტს!“

„გაუმარჯოს სტალინგრადის გმირ დამცველებს!“

„ჰიტლერიზმზე გამარჯვების გენიალურ ორგანიზატორს დიდ სტალინს დიდება!“

ბელადს უსმენდა ქვეყანა ვრცელი

იოსებ ნონეშვილი

ირგვლივ სიჩუმე ჩამოდგა წამით
და როს ბელადმა გასჭრა დუმილი,
როგორც კლდის თავზე ჯურხაის ხმალი
შეირხა გული ბრძოლის სურვილით.
შედგნენ მთიები, წუთით დაბლითაც
დადგა სიჩუმე და გარინდება.
როგორც ყოველთვის, ბრძენის ბაგიდან
ლაპარაკობდა ჭეშმარიტება.
სიტყვა იყო თუ ქროლვა გრიგალის,
თუ მეცხრე ტალღა მსრბოლი ლაღადა...
ხალხის სურვილი და ნაფიქრალი
გმირობის ცეცხლით აალაღდა.
თითქოს ბრძოლის ხმა ესმა შორიდან,
დაფდაფის ხმა და რქენა გულადად...
მწუხრში წამოდგა ციხე გორისა
და მშობლიურ ხმას მიაყურადა.
ბელადს უსმენდა ქვეყანა ვრცელი,
ხმაში ფოლადის სიმტკიცე რეკდა.
აღარ უჩანდა მწუხარე ცრემლი
დუშმანთა ხელით შვილმოკლულ დედას.
ბელადს უსმენდა ქვეყანა ვრცელი
და სადაც ბრძოლის გრიგალი ჰქროდა,
სტალინგრადის თუ კავკასის მცველი
აფერადებდა მტრის სისხლით გორდას.
გულში ბრძოლის ხმა უფრო ადიდდა,
ხალხთა მშობლიურ ბელადს დიდება.
როგორც ყოველთვის, კვლავ მის ბაგიდან
ლაპარაკობდა ჭეშმარიტება.

„ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია“

„ფედერაციამ“ გამოსცა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია. წიგნი ხუთი ნაწილისაგან შესდგება: ძველი (მე-19 საუკუნემდე), ახალი (მე-20 საუკუნემდე), უახლესი (მე-20 საუკუნის 21 წლამდე), თანამედროვე საბჭოთა პატრიოტული პოეზიის და ფოლკლორის ნიმუშებისაგან. ძველი კლასიკური პოეზიიდან წარმოდგენილი არიან—რუსთაველი, თეიმურაზ პირველი, არჩილი, იოსებ ტფილელი, დ. გურამიშვილი, ბესიკი; მე-19 საუკუნის პოეზიიდან—ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რ. ერისთავი, ვახტ. ორბელიანი, მამია გურიელი, გ. ქალადიდელი, ი. დავითაშვილი, ვაჟა ფშაველა, ბაჩანა, გრ. აბაშიძე, განდეგილი, შიო მღვიმელი, დუტუ მეგრელი; უახლესი (1921 წლამდე)—ირ. ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე, კოტე მაყაშვილი, იეთიმ გურჯი; თანამედროვე საბჭოთა პოეზიიდან ანთოლოგიაში შეტანილია თითქმის ყველა საბჭოთა პოეტის საუკეთესო პატრიოტული ლექსი; ფოლკლორიდან ანთოლოგიაში შესულია პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი 17 ლექსი. ანთოლოგია გამოცემულია ლევან ასათიანის რედაქციით და წინასიტყვაობით, შეიცავს 190 გვერდს და ღირს 13 მან. 90 კაპ.

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო ჭულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უდ 9833